



შპს “გლობალ ქოფი ჯორჯია”

მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური
ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის
(მსს ფასს) შესაბამისად მომზადებული
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შინაარსი:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

საქმიანობის შედეგები

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული შენიშვნები:

1. შპს „გლობალ ქოფი ჯორჯია“ და მისი საქმიანობა, ზოგადი ინფორმაცია
2. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა
3. ძირითადი საშუალებები
4. მარაგები
5. შემოსავალი რეალიზაციიდან
6. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება
7. ფული და ფულის ექვივალენტები
8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები
9. საწესდებო კაპიტალი
10. მოგების გადასახადი
11. რისკების განსაზღვრა (კორონავირუსის COVID-19 პანდემია)
12. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომი მოვლენები

ანგარიშგება მომზადებულია ერთეულ ლარებში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2019	2020	2021
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	8000	24000	10000
სავაჭრო მოთხოვნები	108000	524000	487000
გადახდილი ავანსები	277000	3000	24000
მარაგები	2000	19000	22000
მზა პროდუქცია	2000	19000	22000
სხვა			
საინვესტიციო ქონება			
სხვა მიმდინარე აქტივები			
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით			
გადაფასების მოდელით			
გუდვილი	2836000	2836000	2836000
სხვა არამატერიალური აქტივები	954000	893000	833000
ძირითადი საშუალებები	792000	345000	248000
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში			
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში			
სხვა გრძელვადიანი აქტივები		2000	
სულ აქტივები	4977000	4646000	4460000
ვალდებულებები			

ფინანსური იჯარის ვალდებულება

სავაჭრო ვალდებულებები	50000	29000	28000
-----------------------	-------	-------	-------

ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები

ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ

საგადასახადო ვალდებულებები	17000	0	
----------------------------	-------	---	--

გამოუმუშავებელი შემოსავალი

მიმდინარე სასესხო ვალდებულებები

გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

მიღებული გრანტები

სხვა ვალდებულებები			24000
--------------------	--	--	-------

სულ ვალდებულებები	67000	29000	52000
--------------------------	--------------	--------------	--------------

საკუთარი კაპიტალი	5737000	5737000	5737000
-------------------	---------	---------	---------

სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი',
კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')

საემისიო შემოსავალი

გამოსყიდული საკუთარი აქციები

გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	-827000	-1120000	-1329000
-------------------------------	---------	----------	----------

გადაფასების რეზერვი

სხვა რეზერვები

სულ საკუთარი კაპიტალი	4910000	4617000	4408000
------------------------------	----------------	----------------	----------------

სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	4977000	4646000	4460000
---	----------------	----------------	----------------

დირექტორი:

ირინე უჩანეიშვილი

01 სექტემბერი 2022 წელი

საქართველო, თბილისი

ანგარიშგება მომზადებულია ერთეულ ლარებში

საქმიანობის შედეგები	2019	2020	2021
ნეტო ამონაგები	2864000	2498000	3259000
საქონლის გაყიდვიდან	2651000	2251000	2870700
მომსახურების გაწევიდან	213000	247000	388300
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
სხვა			
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-2426000	-2011000	-2588000
საწყისი მარაგები	108000	2000	19000
მარაგების შესყიდვა	2320000	2028000	2591000
გადამუშავების დანახარჯები			
საბოლოო მარაგები	2000	19000	22000
საერთო მოგება	438000	487000	671000
სხვა შემოსავალი			
დასაქმებულთა ანაზღაურება	-167000	-122000	-134000
ცვეთა და ამორტიზაცია	-485000	-496000	-373000
საპროცენტო შემოსავალი:			
საპროცენტო ხარჯი :			
იჯარის ხარჯი	-15000	-12000	-12000
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-94000	-131000	-360000
სულ საოპერაციო ხარჯები	-761000	-761000	-879000
საოპერაციო მოგება	-323000	-274000	-208000
ფინანსური აქტივები			
მარაგები			
სხვა არაფინანსური აქტივები			
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო	-21000	-19000	-1000
ოპერაციებიდან			
მიღებული დივიდენდები			
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/			
(ხარჯი)			
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე	-344000	-293000	-209000
განგრძობითი ოპერაციებიდან			
მოგების გადასახადი			
მოგება/(ზარალი)	-344000	-293000	-209000
ძირითადი საშუალების (მათ შორის			
ბიოლოგიური აქტივის) გადაფასების რეზერვი			

სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე
საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების
რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი
პროგრამები)

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ			
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	-344000	-293000	-209000
საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	5254000	4910000	4617000

ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში
'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის
შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')

განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის
დივიდენდი)

სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში

კაპიტალის სხვა ცვლილებები

საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	4910000	4617000	4408000
---	----------------	----------------	----------------

დირექტორი:

ირინე უჩანეიშვილი

01 სექტემბერი 2022 წელი

საქართველო, თბილისი

ანგარიშგება მომზადებულია ერთეულ ლარებში

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	2019	2020	2021
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	271000	-24113	110523
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-238000	77830	-97207
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-28000	-18717	-26316
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	-5000	35000	-13000
სავალუტო კურსის ეფექტი	-1000	-19000	-1000
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	4000	8000	24000
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	8000	24000	10000

დირექტორი:

ირინე უჩანეიშვილი

01 სექტემბერი 2022 წელი

საქართველო, თბილისი

ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული შენიშვნები:

1. შპს „გლობალ ქოფი ჯორჯია“ (შემდგომში „კომპანია“) და მისი საქმიანობა, ზოგადი ინფორმაცია

შპს „გლობალ ქოფი ჯორჯია“ დაფუძნებულია და მდებარეობს საქართველოში. იგი წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას და დაარსებულია საქართველოს კანონმდებლობის კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს : საბითუმო ვაჭრობა ყავით, ჩაით, კაკაოთი და სანელებლებით. კონპანიას არ გააჩნია შვილობილი კომპანიები.

კომპანია დაფუძნებულია 2017 წლის 10 თებერვალს და მოქმედი დირექტორია ირინე უჩანეიშვილი პ/ნ 60001008279.

ანგარიშგება მომზადებულია ქართულ ლარში.

2. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

მომზადების საფუძველი

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (შემდგომში „ მსს ფასს“). ფინანსური ანგარიშგების მომზადებაში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. ეს პოლიტიკა ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს კომპანიის პირველ წლიურ ფინანსურ ინფორმაციას, რომელიც სრულ შესაბამისობაშია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან მცირე და საშუალო საწარმოებისთვის.(მსს ფასს).

ოპერაიები უცხოურ ვალუტაში

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტას, რომელშიც იგი ფუნქციონირებს. კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი ("GEL").

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კომპანიის საოპერაციო ვალუტაში გადაიყვანება შესაძამისი საანგარიშო პერიოდის დასრულებისას არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოყენებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაციისა და ტრანზაქციების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი საკურსო მოგება და საკურსო ზარალი საოპერაციო ვალუტაში წლის ბოლოს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით აღიარებულია მოგება-ზარალში ფინანსური შემოსავლის ან ზარალის სახით.

ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, მოთხოვნად დეპოზიტებს, რომელთა ვადაც 3 თვეს ან უფრო ნაკლებ პერიოდს შეადგენს.

სავაჭრო მოთხოვნები

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების გაანალიზება იმის დასადგენად, ხომ არ არსებობს რაიმე ობიექტური მტკიცებულება, რომ ეს თანხები არ ექვემდებარება ამოღებას. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება ეფუძნება წრფივ მეთოდს და შეიცავს მარაგების შეძენის, ტრანსპორტირების და დასაწყობების ხარჯებს. შეფასებით გასაყიდი ღირებულება არის ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში სავარაუდო გასაყიდი ფასი, რომლიდანაც გამოქვითულია დასრულებისა და გაყიდვის სავარაუდო ხარჯები.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების მთელ პერიოდზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ყოველი პერიოდის ცვეთის სიდიდე ერთმანეთის ტოლია და გაიანგარიშება აქტივის ცვეთადი ღირებულებისა და მისი მომსახურების ვადის თანაფარდობით. აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადები შემდეგია:

- შენობა-ნაგებობები 7-50 წელი
- მოწყობილობა-დანადგარები 3-20 წელი
- სატრანსპორტო საშუალებები 5-7 წელი
- კომპიუტერები და სხვა საოფისე აღჭურვილობა 3-20 წელი
- ავეჯი 3-20 წელი
- სხვა ძირითადი საშუალებები 3-8 წელი

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები არამატერიალური აქტივები წარმოადგენს ცალკე შეძენილ ლიცენზიებს (მათ შორის შეძენილი კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა) და სხვა არამატერიალური აქტივებს. არამატერიალური აქტივის ამორტიზირება ხდება წრფივი

მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში.

არამატერიალური აქტივის სასარგებლო გამოყენების ვადები შემდეგია:

- არამატერიალური აქტივები 5-20 წელი.

თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, მაშინ მოცემული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა უნდა განისაზღვროს ხელმძღვანელობის საუკეთესო შეფასების საფუძველზე.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულა. თუ არსებობს აქტივების შესაძლო გაუფასურების ნიშნები, მაშინ ფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. იმ შემთხვევაში, თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულა, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

აღნიშნული თანხები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე აღებულ ვალდებულებებს და პროცენტებს არ ითვალისწინებს. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება კომპანიის ფულად ერთეულში (ლარში), საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

სესხები თავდაპირველად საოპერაციო ფასით აისახება (ანუ კრედიტორისათვის გადასახდელი თანხის ახლანდელი ღირებულება, საოპერაციო ხარჯების ჩათვლით). სესხები შემდგომში ამორტიზირებული ხარჯით აისახება. საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის საფუძველზე და აისახება ფინანსურ ხარჯებში. სესხები კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუკი კომპანიას არ გააჩნია უპირობო უფლება აღნიშნული ვალდებულების გასტუმრების გადავადების შესახებ, ანგარიშგების თარიღიდან არანაკლებ 12 თვის ვადით.

იჯარა

კომპანიას არ გააჩნია ფინანსური იჯარა.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში

საკუთარი კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა კომპანიის წესდებით განისაზღვრება. კომპანიის წესდებაში ცვლილებების შეტანა (მათ შორის საწესდებო კაპიტალის, საკუთრების უფლების ცვლილება), მხოლოდ კომპანიის მესაკუთრეების გადაწყვეტილებით ხდება

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან (მომსახურების გაწევიდან) აღიარდება მაშინ, როცა მყიდველს საქონელი (მომსახურება) მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლები ფასდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულების ოდენობით. გაყიდვები ნაჩვენებია დღგ-ს გარეშე.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისათვის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

დღგ

კომპანიის მიერ გაყიდვების/მომსახურების გაწევის ოპერაციებთან დაკავშირებული დღგ-ს კომპანია სახელმწიფო ბიუჯეტში იხდის მიწოდებული საქონლის ან გაწეული მომსახურების შესაბამისად, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში. კომპანია დღგ-ს ჩათვლას ახორციელებს შესაბამისი ჩასათვლელი თანხების დეკლარირების გზით.

დივიდენდის განაწილება

დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა.

3. ძირითადი საშუალებები

თანხა მოცემულია ქართულ ლარში.

	კომპიუტერები და საოფისე აღჭურვილობა	მანქანა- დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	ჯამი
ბალანსი 01 იანვარი 2021 წელი	14781.02	2263908.56	10474.20	2289163.78
შემოსვლა	0	665593.91	0	665593.91
გასვლა	0	800180.14	10474.20	810654.34
ბალანსი 31 დეკემბერი 2021 წელი	14781.02	2129322.33	0	2144103.35

ცვეთა

	კომპიუტერები და საოფისე აღჭურვილობა	მანქანა- დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	ჯამი
ბალანსი 01 იანვარი 2021 წელი	13465.81	1921593.13	9077.64	1944136.58
წლის დარიცხული ცვეთა	1100.59	311003.47	348.50	312452.56
გასული ძირ. საშ.ცვეთა	0	351370.11	9426.14	360796.25
ბალანსი 31 დეკემბერი 2021 წელი	14566.40	1881226.49	0	1895792.89

ნარჩენი ღირებულება

	კომპიუტერები და საოფისე აღჭურვილობა	მანქანა- დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	ჯამი
ბალანსი 01 იანვარი 2021	1315.21	342315.43	1396.56	345027.20
ბალანსი 31 დეკემბერი 2021	214.62	248095.84	0	248310.46

4. მარაგები

კომპანიის სასაქონლო - მატერიალური ფასეულობების სახით გაჩნია:

მარაგები	2020 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
საქონელი	19000	22000
ჯამი	19000	22000

5. შემოსავალი რეალიზაციიდან

	2020 წელი 31 დეკემბერი	2021 წელი 31 დეკემბერი
საქონლის გაყიდვიდან	2251206	2870733
მომსახურების გაწევიდან	246917	388202

6. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	<u>2020 წელი 31</u> <u>დეკემბერი</u>	<u>2021 წელი 31</u> <u>დეკემბერი</u>
გაცივებული პროდუქციის (საქონლის) თვითღირებულება	2010422	2588005

7. ფული და ფულის ექვივალენტები

	<u>2020 წელი 31</u> <u>დეკემბერი</u>	<u>2021 წლის 31</u> <u>დეკემბერი</u>
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	962.65	0
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	23043.06	10196.88
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	0	0
<u>სულ ფულადი სახსრები და მათი</u> <u>ექვივალენტები</u>	<u>24005.71</u>	<u>10196.88</u>

8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ხარჯი მოცემულია ქართულ ლარში

	<u>2020 წელი 31</u> <u>დეკემბერი</u>	<u>2021 წლის 31</u> <u>დეკემბერი</u>
სავაჭრო ვალდებულებები	28405	28000
ვალდებულებები პერსონალის მიმართ	0	0
მიღებული ავანსები	0	0
საგადასახადო ვალდებულებები	0	0
გრძელვადიანი სესხები	0	0
გადასახდები პროცენტი	0	0

9. საწესდებო კაპიტალი

	2020 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
საწესდებო კაპიტალი	5737000	5737000
შენატალი და განაწილებები	0	0
დივიდენდები	0	0

10. მოგების გადასახადი

კანონმდებლობის ცვლილების შესაბამისად (ესტონური მოდელი) გადასვლის შემდეგ, კომპანიას მოგების გადასახადის დარიცხვის და გადახდის ვალდებულება წარმოეშვა არა მოგების მიღების მომენტში, არამედ ამ მოგების განაწილების დროს. კომპანის მოგების გადასახადს იხდის ცალკეულ ოპერაციებზე არსებული კანონის შესაბამისად.

11. რისკების განსაზღვრა

ქვეყანაში არასტაბილური სავალუტო ბაზრის არსებობიდან და ამასთან ბიზნეს საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, კომპანიაზე მოქმედებს ვალუტის მერყეობა და გაუფასურება ევროსა თუ დოლარის მიმართ.

საქართველოს ეკონომიკა დამოკიდებულია არა მხოლოდ მიკროეკონომიკურ ფაქტორებზე, არამედ რეგიონის სხვა ქვეყნების, განსაკუთრებით მეზობელი ქვეყნების ეკონომიკაზე და ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე.

ბაზარზე დადგენილი ფასების მინიმუმი და მაქსიმუმი, გავლენას ახდენს კომპანიის საფასო პოლიტიკაზე. ამასთანავე, კომპანიის ძირითადი საქმიანობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმპორტზე და სავალუტო ბაზრის არასტაბილურობისა და კურსის რყევების გამო, საწარმოს მასალებსა და მომსახურების ფასებზე ცვლილება გავლენას იქონიებს საბოლოო პროდუქციის ფასზე, შესაბამისად მომხმარებელთა მყიდველუნარიანობაზე. ეს კი თავისთავად აისახება კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე.

კომპანიის განვითარება და წინსვლა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია მომუშავე პირების კვალიფიკაციასა და პროფესიონალიზმზე. კომპანიის ინტერესებში უნდა შედიოდეს დასაქმებულთა გადამზადება, წახალისება და მოტივაციის ამაღლება, რაც პირდაპირ აისახება კომპანიის საქმიანობაზეც. ამასთანავე, დიდი ყურადღება უნდა მიექცეს არსებულ თანამშრომლებს შორის ინტერესთა კონფლიქტის მიზეზების აღმოფხვრას და მათთვის უსაფრთხო სამუშაო გარემოში მუშაობის შესაძლებლობას.

12. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომი მოვლენები, რომლებიც გამოიწვევდა დამატებით შესწორებებს და ცვლილებებს მოცემულ ანგარიშგებაში, არ მომხდარა.